**ტესტის სახელწოდება**
ჰომოცისტეინი

**რას იკვლევს მოცემული ტესტი?**
მოცემული ტესტი სისხლში ამინომჟავა ჰომოცისტეინის დონეს განსაზღვრავს.

**რისი დიაგნოსტირებისთვის ინიშნება?**
ეს ანალიზი შეიძლება დაინიშნოს მაშინ, როდესაც ეჭვი აქვთ B9 ვიტამინის (ფოლატის) ან B12 ვიტამინის დეფიციტზე.
ჰომოცისტეინის ანალიზი ჰომოცისტინურიის გამოსავლენადაც შეიძლება ჩატარდეს. ჰომოცისტინურია გენეტიკური დაავადებაა, რომელიც ჰომოცისტეინის დონის მატებას იწვევს.

**როგორ კეთდება ეს ტესტი?**
ამ ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

**როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?**
ჩვეულებრივ, ამ ანალიზისთვის სისხლის აღებამდე, საჭიროა უზმოდ ყოფნა. ზოგიერთმა მედიკამენტმა და საკვებმა დანამატმა შესაძლოა ანალიზის შედეგებზე გავლენა იქონიოს, ამიტომ ტესტის გაკეთებამდე აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია და, ანალიზისთვის მოსამზადებლად, შესაბამისი ინსტრუქციის მიღება.

**შედეგების ინტერპრეტაცია**
ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს.
ჰომოცისტეინის დონეზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მაგალითად, მისი მომატებული დონე აღინიშნება ფოლატის (ვიტამინი B9) ან ვიტამინი B12-ის ნაკლებობის დროს. ჰომოცისტინურიას ასევე ახლავს სისხლში ჰომოცისტეინის დონის მომატება.
აღსანიშნავია, რომ ჰომოცისტეინის დონეზე გავლენას ახდენს აგრეთვე ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ასაკი, თამბაქოს მოხმარება, კვება.

თარიღი: 29.03.2024

გამოყენებული წყაროები:


- Homocysteine, https://labtestsonline.org.uk/tests/homocysteine (accessed 29 March 2024).

- Homocysteine Test. *Testing.com*, https://www.testing.com/tests/homocysteine/ (2021, accessed 29 March 2024).
- Homocysteine | Kaiser Permanente, https://healthy.kaiserpermanente.org/health-wellness/health-encyclopedia/he.homocysteine.tu2008 (accessed 29 March 2024).
- HCYSP - Overview: Homocysteine, Total, Plasma, https://www.mayocliniclabs.com/test-catalog/Overview/80379 (accessed 29 March 2024).
- HCYSS - Overview: Homocysteine, Total, Serum, https://www.mayocliniclabs.com/test-catalog/overview/35836 (accessed 29 March 2024).